პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/1975/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 11 (418)

1975 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 11 (418) ნოემბერი 1975 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


210. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის არიდებისა და ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

204. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების პირველ მუხლში რედაქციული ცვლილების შეტანის თაობაზე.

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების გამო სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შეცვლის შესახებ.

206. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.

207. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების

ეროვნული
ბიბლიოთეკა



208. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, კასპის, წალენჯიხის, ქარელის რაიონული, ქუთაისისა და ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების მიერ სესიების მომზადებისა და ჩატარების დადებითი პრაქტიკის შესახებ.

209. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენების და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 5 ივნისის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

210. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათის შესახებ.

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისა და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონის სახალხო სასამართლოს არჩევნების ჩატარების შესახებ.

213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

## განყოფილება მეორე

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის № 7 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ლ. აბშილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. [illegible]-თურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ე. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. დარისპანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. მაჭავარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. შალუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ბ. შვანგირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ი. ხარშილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის ოპერეტის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 201 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 234.** სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა.

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, აგრეთვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 202 საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის არიდებისა და ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების 1-6 მუხლები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 5, მუხ. 77);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართ-

ლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 5, მუხ. 76).

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნეს 234[1] მუხლი.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრი „234[1]".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 203 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 204 „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების პირველ მუხლში რედაქციული ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების პირველი მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 81) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — პატიმრობას ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით ან ჯარიმის ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გატარებას, ყველა შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 205 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების გამო სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შეცვლის შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი ზომების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 126-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „95-ე I ნაწ.“ შეიცვალოს ციფრით „95“ და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „95-ე II ნაწ.“.

2. მეშვიდე კარისა და ოცდამეთოთხმეტე თავის სათაურს სიტყვის „ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების“.

3. მე-400 მუხლის სათაურსა და ამ მუხლის ტექსტს სიტყვის „ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების“.

4. 401-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

5. 402-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „მეორე ნაწილით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის მეორე ნაწილით".

ამავე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით".

6. 405-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით".

7. 406-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით".

ამავე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვის „ხულიგნობის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 206 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შემდეგი შინაარსის 59[1] და 81[1] მუხლები:

**მუხლი 59[1].** გარემოებანი, რომლებიც უნდა დადგინდეს არასრულწლოვანთა საქმეების გამო

არასრულწლოვანთა საქმეების წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, ამ კოდექსის 59-ე მუხლში მითითებული გარემოებების გარდა, უნდა დადგინდეს აგრეთვე შემდეგი გარემოებები:

1. არასრულწლოვანის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი).
2. აღზრდისა და ცხოვრების პირობები.
3. არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები.
4. იყვნენ თუ არა სრულწლოვანი წამქეზებლები და სხვა პირები, რომლებმაც არასრულწლოვანი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაახეს.

არასრულწლოვანის გონებრივი ჩამორჩენილობის დროს, თუ ეს დაკავშირებული არ არის სულიერ დაავადებასთან, უნდა გამოირკვეს აგრეთვე, — შეეძლო თუ არა მას მთლიანად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ამ გარემოებათა დასადგენად უნდა დაიკითხოს არასრულწლოვანის მშობ-

ლები, მისი მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა პირები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო ცნობების მიცემა. ასევე გამოთხოვილ უნდა იქნეს საჭირო დოკუმენტები და ჩატარდეს სხვა საგამოძიებლო და სასამართლო მოქმედებანი. აუცილებელ შემთხვევებში, არასრულწლოვანის საერთო განვითარების მდგომარეობისა და მისი გონებრივი ჩამორჩენილობის დონის დასადგენად, უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სპეციალისტების მიერ (ფსიქოლოგი, პედაგოგი) ან აღნიშნული საკითხები გადასაწყვეტად გადაეცეს ექსპერტ-ფსიქიატრს".

**მუხლი 81**[1]. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არასრულწლოვანის მიმართ

დაკავება და დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება არასრულწლოვანის მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ეს გამოწვეულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც მითითებულია ამ კოდექსის 82-ე, 88-ე და 121-ე მუხლებში".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 207 სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული და ჭიათურის საქალაქო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად. ყრილობებისათვის მზადება მიმდინარეობს მშრომელთა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ამ საკითხს მიეძღვნა ქ. ჭიათურის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, სადაც აღებულ იქნა კონკრეტული ვალდებულებები, ხოლო ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქ. ჭიათურის მრეწველობამ 6 ოქტომბრისათვის შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმა. რესპუბლიკაში გეგმის ზევით 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებისათვის ლაშქრობაში ჭიათურელი მშრომელების წვლილი განსაზღვრული იყო 3 მილიონ 481 ათასი მანეთით. 9 თვეში გამოშვებულია 3 მილიონ 572 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ხოლო წლის ბოლომდე ნავარაუდევია დამატებით 500 ათასი მანეთის პროდუქციის წარმოება. ხაშურის რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად კი მიმდინარე წლის 9 თვეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ 3.423 ათასი მანეთი შეადგინა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი წლიური 1.696 ათასი მანეთისა.

ჭიათურის საქალაქო და ხაშურის რაიონის ადგილობრივი საბჭოები მეტ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების უკეთ ორგანიზაციის, დასახლებული პუნქტების, გზების კეთილმოწყობისა და კულტსაგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს. ამ საკითხებს იხილავენ სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე. მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რათა გათვალისწინებულ ვადებში იქნეს გადაცემული საექსპლუატაციოდ ახალი საცხოვრებელი სახლები და გაუმჯობესდეს მათი მშენებლობის ხარისხი.

აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერეს ყურადღება დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საკითხებზე. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის ქ. ჭიათურაში დაიდგა 10.015 გაზქურა, მათ შორის სოფლად 4.777, ხოლო ხაშურის რაიონში შესაბამისად — 14.140 და 1.140 გაზქურა. ქ. ჭიათურაში დეპუტატების ინიციატივითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის. სასმელი წყლის ყაირათიანად ხარჯვას დიდად შეუწყო ხელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩატარებულმა ორთვიურმა, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა წყლის დანაკარგები. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქ. ჭიათურაში საკანალიზაციო სამუშაოების შესასრულებლად. მიმდინარე წელს საექსპლუატაციოდ გადაეცემა სანიაღვრო-ფეკალური კანალიზაციის მთავარი ხაზი, ხოლო მომავალ წელს მთლიანად დამთავრდება ქალაქის კანალიზაცია.

მიმდინარე წელს 113 ოჯახი შესახლდა კეთილმოწყობილ ბინებში.

აღმასკომები, დეპუტატები საარჩევნო ოლქებში დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას. ქ. ჭიათურაში 1975 წლის 9 თვეში ამ დანიშნულებით ათვისებულია 270 ათასი მანეთი. გაშენდა სკვერები, გაზონები, დაირგო 60 ათასი ხე-ბუჩქი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით მოეწყო შაბათობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 45 ათასმა კაცმა და შესრულდა 72 ათასი მანეთის ღირებულების კეთილმოწყობის სამუშაოები. ხაშურის რაიონში ამავე პერიოდში კეთილმოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 369 ათასი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგნენ რა წინასაყრილობო შრომით ვახტზე ჭიათურის საქალაქო საბჭოს საწარმოო-საგზაო უბნის მუშაკებმა მეცხრე ხუთწლედის გეგმა ვადაზე ადრე — 4 წელსა და 9 თვეში შეასრულეს; ხაშურელმა თანამოსაქმეებმა კი 137,8 პროცენტით გაანაღდეს მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობაში ჭიათურელ მაღაროელთა ინიციატივამ ქუჩებსა და მოედნებზე სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დასამყარებლად ქალაქის ორგანიზაციების და დაწესებულებების შეფობის შესახებ.

სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობებთან დაკავშირებით კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობა ლექციამოხსენებები, თემატური საღამოები, გამოფენები, შეხვედრები შრომის გმირებთან და წარმოების მოწინავე ადამიანებთან.

მეტი ყურადღება ექცევა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ქ. ჭიათურის სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებმაც ითავეს დაზოგილი სამშენებლო მასალებით 7 სასოფლო ბიბლიოთეკის შენობის აგება, რომელთა საექსპლუატაციოდ გადაცემა მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება.

ყრილობებისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა დეპუტატების საქმიანობა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის საკითხებს შეეხება.

ამასთან, ჭიათურის საქალაქო და ხაშურის რაიონის ადგილობრივ საბჭოებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებები.

ქ. ჭიათურაში და ხაშურის რაიონში არ სრულდება საცხოვრებელი სახლების როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური შეკეთების გეგმები. ქ. ჭიათურის ჯერ კიდევ ბევრ საცხოვრებელ სახლში წესრიგში არაა სანტექნიკური კვანძები, მილგაყვანილობა. ნაკლოვანებებია მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფის საქმეში. არასაკმარისი ყურადღება ექცევა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ქ. ჭიათურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ 1975 წლის 9 თვის გეგმა 98,5 პროცენტით შეასრულა. სრულიად არადამაკმაყოფილებელია ქ. ჭიათურის სოფლებში აბანოების მშენებლობის საქმე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჭიათურის არც ერთ სოფელს დღემდე აბანო არ გააჩნია, ხოლო ხაშურის რაიონის 82 სოფლიდან აბანო მოწყობილია მხოლოდ 4 სოფელში. ამავე რაიონის 73 სოფელში საერთოდ არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია მოსახლეობის კინომომსახურებაშიც. ქ. ჭიათურის 61 სოფლიდან 24 კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი, კინოთეატრ „მალა-როელის“ შენობა კი ავარიულ მდგომარეობაშია.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს გზების კეთილმოწყობის საქმეს. 1975 წელს ხაშურის რაიონის 7 კოლმეურნეობიდან არ მიუღია მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში 1 კოლმეურნეობას, ხოლო 34 წარმოება-ორგანიზაციიდან — 5-ს; ჭიათურის 38 წარმოება-ორგანიზაციიდან — 10-ს.

სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების შესახვედრად მზადება წარმართონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა მიერ აღებული სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად მასების მობილიზაციის ნიშნით. გააძლიერონ კონტროლი მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაზე. ამასთან, საბჭოების, დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და მოსახლეობის ფართო მონაწილეობით უზრუნველყონ დასახლებული პუნქტების, გზების კეთილმოწყობა, სავაჭრო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და სხვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება;

ბ) საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების, საწარმოთა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების, მშრომელთა ყრილობების ფართო მსჯელობის საგნად გახადონ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხები. ყრილობებისათვის მზადების პერიოდში პრაქტიკაში დანერგონ ცალკეული სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების, საარჩევნო ოლქებში დეპუტატების მიერ გაწეული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

გ) დეპუტატებმა, აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებმა, სამმართველოებმა, საწარმოთა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით გამოსვლისას ფართოდ გააშუქონ სკკპ მიერ გაწეული დიდი მუშაობა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ამასთან ყურადღება გაამახვილონ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ახორციელებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკაში არსებული დარღვევებისა და ნეგატიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, შრომისა და ყოფის ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად;

დ) უზრუნველყონ ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრების სრულად და ეფექტიანად გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საცხოვრებელი სახლების, წყალსადენის, კანალიზაციისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სხვა ობიექტების მშენებლობასა და მათ შეკეთებაზე გამოყოფილი თანხების ათვისებას, შესრულებული სამუშაოების ხარისხს, უფრო მეტად ჩააბან ორგანიზაციები, დაწესებულებები, მოსახლეობის ფართო ფენები ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებში, აამაღლონ სასოფლო საბჭოების, დეპუტატების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება დასახლებული პუნქტების განაშენიანების სამუშაოების უკეთესი ორგანიზაციისათვის;

ე) გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა; აამაღლონ მათი როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათში საბჭოთა მოქალაქისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებების ჩამოყალიბების საქმეში. ამ დაწესებულებათა მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდეს მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი სოფლად აბანოების მშენებლობისათვის, მათი მუშაობის გაუმჯობესებისა და მომსახურების დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 208 თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, კასპის, წალენჯიხის, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ქუთაისისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების მიერ სესიების მომზადებისა და ჩატარების დადებითი პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, კასპის წალენჯიხის, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ქუთაისისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების მიერ სესიების მომზადებისა და ჩატარების დადებითი პრაქტიკის შესახებ“ და ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების [illegible] სახელებული საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა.

2. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ საკითხზე დაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაევალოთ მათ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სესიების მომზადებისა და ჩატარების მოწინავე გამოცდილების საყოველთაოდ დასანერგავად.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ სათანადო კონტროლი და დახმარება გაუწიოს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს სესიების მომზადებისა და ჩატარების დადებითი პრაქტიკის დანერგვის საქმეში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 209 რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენებისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 5 ივნისის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის ამხ. გ. ქობულიას მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მდივნის, დეპუტატ მ. მდივნის თანამოხსენება რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენების და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 5 ივნისის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს. გადაჭარბებით შესრულდა 1974 წლის და მიმდინარე წლის 9 თვის საექსპლუატაციო ღონისძიებათა გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მომზადდა 1.438 მრწყველი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 1.300-სა, სახსრების ეკონომიის ხარჯზე გასარწყავდა 513 ჰექტარი ფართობი და სხვ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად შემცირდა გამოუყენებელი და მოურწყავი ფართობების რაოდენობა. თუ 1973 წელს მთლიანად რესპუბლიკაში გამოუყენებელი იყო 1.243 ჰექტარი სარწყავი ფართობი, 1974 წელს იგი 777 ჰექტარამდე შემცირდა.

გაუმჯობესდა სახელმწიფო საირიგაციო და დამშრობი არხების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის საქმე. უკანასკნელი წლის აღრიცხვის მონაცემებით მინიმუმამდეა დაყვანილი სამეურნეობათაშორისო სისტემის მოუწესრიგებლობის მიზეზით გამოუყენებელი მიწების ფართობების რაოდენობა.

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის საქმის სრულყოფის და სარწყავი ტექნიკის რაციონალურად გამოყენების მიზნით საგარეჯოს, გარდაბნის, კასპის, გურჯაანის რაიონებში შეიქმნა სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანებები და მათ გადაეცათ მეურნეობაში არსებული სარწყავი ტექნიკა. გაერთიანებები, მეურნეობებთან ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვას. როგორც საგარეჯოს სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანების მუშაობის ანალიზიდან ჩანს ამ ორგანიზაციამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და წელს პირველად რაიონმა მთლიანად შეასრულა ფართობების რწყვის გეგმა.

ამასთან, რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენების და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

დარღვევებია სარწყავი წყლის მომჭირნეობით ხარჯვის, რწყვის ნორმებისა და ვადების აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვის საქმეში. ხშირად რწყვა წარმოებს წყალსარგებლობის გეგმების წესების უხეში დარღვევით. სათანადო ყურადღება არ ექცევა ფართობების რწყვისათვის დროულად მომზადებას, ზოგჯერ რწყვა ვერ ტარდება შიდასამეურნეო ქსელის მოუწესრიგებლობის გამო. ყოველივე ამის შედეგად დაბალია მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე.

„საქსოფლტექნიკის" ადგილობრივი ორგანოები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სარწყავი ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით მომარაგება და მათი რემონტი, ვერ უზრუნველყოფენ ამ სამუშაოებს. ზოგ მეურნეობაში მოუწესრიგებელია მრწყველთა შრომის ანაზღაურების საკითხი. ორგანიზებული არ არის კვალიფიციური მრწყველებისა და მელიორატორთა კადრების მომზადების საქმე, რის გამოც თითქმის ყველა რაიონში იგრძნობა ამ დარგის მუშაკთა დიდი ნაკლებობა.

რესპუბლიკის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ვერ პასუხობენ სადღეისო მოთხოვნებს მელიორაციის დარგში.

არსებული ნაკლოვანებები განპირობებულია იმითაც, რომ წყალთა მეურნეობის ზოგიერთი ადგილობრივი სამმართველო სუსტად ხელმძღვანელობს საექსპლუატაციო სამსახურს (მცხეთა, ლაგოდეხი, თელავი, კასპი და სხვ.). მოწოდების სიმაღლეზე არ დგას საექსპლუატაციო ჰიდრომეტრიის სამსახური

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე მექანიკური მორწყავ-სატუმბავი სადგურების მუშაობა კოლხეთის დაბლობის დამშრობი ქსელისათვის გამოსადეგი მიწისმთხრელი მანქანებით უზრუნველყოფის საკითხიც მოუგვარებელია, რაც აფერხებს ღია ქსელის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები არ ატარებენ ყველა მათზე დამოკიდებულ ზომებს რწყვის საქმისა და მელიორირებული მიწების უკეთ გამოყენებისათვის.

რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აღინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 5 ივნისის დადგენილების შესრულების შემოწმების საქმეში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში მელიორირებული მიწების გამოყენების და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 5 ივნისის დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 210 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები დიდ მუშაობას ეწევიან მრავალშვილიანი დედებისა და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის კანონით დაწესებული შეღავათების განსახორციელებლად.

ამასთან, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებიდან ჩანს, ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი სათანადო მზრუნველობასა და ყურადღებას არ იჩენს მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი

ოჯახების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები საჭირო კონტროლს არ აწესებენ მომუშავე ქალებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და დაევალოს მათ უახლოეს დროში განიხილონ რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედებისათვის და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების ცხოვრებაში გატარების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინოს თავისი ადგილობრივი ორგანოებისადმი მრავალშვილიანი დედებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გათვალისწინებული შეღავათების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 211 „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისა და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისა და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებაში და გორის რაიონის სახალხო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს ორი სახალხო მოსამართლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 13 ნოემბერი.

... სსრ ... საქ. სსრ ... რესპუბლიკ... ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 212 გორის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს გორის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1975 წლის 30 ნოემბერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 213 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1975 წლის 17 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 14 ნოემბერი.

### განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 214 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:**

1. ფრიდონ ნესტორის ძე **ადამია** — მილიციის პოლკოვნიკი.
2. ზაგი ნესტორის ძე **ანთია** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
3. ხუსეინ ალის ძე **ბერიძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

4. ლავრენტი არჩილის ძე **გავაშელიშვილი** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
5. რომან ლეოს ძე **გვინცაძე** — მილიციის ლეიტენანტი.
6. გივი დარჩოს ძე **გიგაური** — მილიციის კაპიტანი.
7. მიხეილ არჩილის ძე **თამასიძე** — თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორი.
8. ნოდარ ნიკოლოზის ძე **იაშვილი** — რიგითი მილიციელი.
9. ანტიფო ტირონის ძე **კაცაძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
10. ნუგზარ მუხრანის ძე **კვირტია** — რიგითი მილიციელი.
11. შალვა დავითის ძე **კოპაძე** — მილიციის მაიორი.
12. კონსტანტინე კვაჩოს ძე **ლეიბა** — მილიციის ზემდეგი
13. ნუგზარ მიხეილის ძე **მგალობლიშვილი** — მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.
14. დავით ალექსანდრეს ძე **ნაცვლიშვილი** — მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.
15. კიაზიმ აბდურახმანის ძე **რაგიმოვი** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
16. ვარდენ ვასილის ძე **ქუთათელაძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
17. გიორგი ვასილის ძე **შათირიშვილი** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
18. ქიშვარდ ივანეს ძე **ჩუბინიძე** — მილიციის ზემდეგი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 215 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"**:

კარლოს სარქისის ძე **გუკასიანი** — საქართველოს სსრ წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მაშველი სამსახურის უფროსი.

ორესტ კლიმენტის ძე **დამენია** — ფოთის მაშველი სადგურის ბოცმანი.

ვახტანგ გიორგის ძე **ლაითაძე** — ფოთის მაშველი სადგურის პირველი კლასის მეყვინთავე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 216 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობის და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**:

1. სადირბაი მამასალის ძე **დუბანაევი** — სამხედრო მოსამსახურე.
2. ხალამპრე ვალერიანის ძე **სალუქვაძე** — ლანჩხუთის რაიონის გრიგოლეთის მაშველი საგუშაგოს მშველელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 217 თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 ტექნიკური სასწავლებელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 18 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 218 ბორჯომის № 7 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის,

დაარსების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, **ბორჯომის № 7 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 18 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 219 სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 220 ამხ. ა. ლ. აბშილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ალექსანდრე ლუკას ძე **აბშილავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 221 ამხ. მ. პ. ბალათურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ პორფილეს ძე ბალათურია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 222 ამხ. ნ. ვ. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროსი ინსტრუქტორი ამხ. ნინო ვლადიმერის ასული **ბურდული** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 223 ამხ. გ. ნ. დარისპანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ნიკოლოზის ძე **დარისპანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 224 ამხ. მ. მ. მაჭავარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული ჯგუფის გამგე ამხ. მირიან მიხეილის ძე **მაჭავარიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 225 ამხ. თ. ი. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რედაქტორი ამხ. თევდორე ივანეს ძე **მღებრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 226 ამხ. ა. ა. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ანდრო ალექსანდრეს ძე **ყანჩაველი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 227 ამხ. დ. ა. შალუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიის მდივანი ამხ. დიმიტრი ალექსის ძე **შალუტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 228 ამხ. ი. ბ. შვანგირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროსი ინსტრუქტორი ამხ. ია ბეგლარის ასული **შვანგირაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 229 ამხ. ტ. ი. ხარშილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ტატიანა ილარიონის ასული **ხარშილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 ნოემბერი.

...ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 230 მოსკოვის ოპერეტის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1975 წელს ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის მოსკოვის ოპერეტის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 ნოემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე განიხილა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მათი შესაბამისი მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ ზემოხსენებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას; სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ და კანონით დადგენილ ვადებში იხილავენ დავას ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების შესახებ; შინაგან საქმეთა ორგანოებმა გააუმჯობესეს ალიმენტის გადახდისაგან თავისამრიდებელ პირთა ძებნა.

ამასთან, ზემოაღნიშნული კანონმდებლობის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არც თუ იშვიათად სასამართლოები სასარჩელო განცხადებებს იხილავენ კანონით დადგენილი ვადების დარღვევით. 1975 წლის პირველ ნახევარში ვადების დარღვევით იქნა განხილული აღნიშნული კატეგორიის საქმეთა 6,8 პროცენტი.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო საქმეთა ზერელედ განხილვის შედეგად არასწორად განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას, უშვებს შეცდომებს საქმის გარჩევაში და სხვ.

ადგილი აქვს სასამართლოების მიერ სააღსრულებო ფურცლების გაცემისა და დანიშნულებისამებრ მათი დაგვიანებით გადაგზავნის შემთხვევებს. მარტო იუსტიციის სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში,

ბიბლიოთეკა

გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, თითქმის 26 პროცენტით გაიზარდა საჩივრების რაოდენობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხშირ შემთხვევებში სასამართლოები არ ითხოვენ და საქმეს არ ურთავენ ცნობებს მოპასუხეთა სამუშაო ადგილისა და ბავშვის კმაყოფაზე ყოფნის შესახებ, გადაწყვეტილებებში სრულყოფილად არ არის აღნიშნული მოპასუხეთა დემოგრაფიული ცნობები. გადაწყვეტილებების აღსრულებას აძნელებს ისიც, რომ არც თუ იშვიათად საქმეთა განხილვა ხდება მოპასუხის დაუსწრებლად.

სასამართლოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული დადგენილების პირველი მუხლის „ა" პუნქტის მოთხოვნას და აღნიშნული კატეგორიის საქმეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს განიხილავენ გამსვლელ სესიაზე მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლთა მონაწილეობით; უგულებელყოფენ პროფილაქტიკური ხასიათის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა კერძო განჩინებების გამოტანა. მითითებული კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე იშვიათად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს, კითხვა-პასუხის საღამოებს; ნაკლებად აქვეყნებენ მასალებს ადგილობრივ პრესაში, გადასცემენ რადიოთი და სხვ.

ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში უხეშად ირღვევა ალიმენტის დაქვითვისა და მისი გადაგზავნის წესები. როდესაც ალიმენტის გადამხდელი მუშაკი თავს ანებებს სამუშაოს, სააღსრულებო ფურცელი ხშირად დიდი დაგვიანებით, ან სულ არ იგზავნება დანიშნულებისამებრ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა გააუმჯობესეს ალიმენტის ურჩ გადამხდელთა და თავისამრიდებელთა ძებნა, ამ ხაზით ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

ქალაქებისა და რაიონების პროკურატურის მუშაკები აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას იშვიათად იღებენ მონაწილეობას სასამართლო პროცესებში და საჭიროების შემთხვევაში არ აყენებენ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც უგულებელყოფენ მოქმედ კანონებს ალიმენტის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების და ამ საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ჩატარებული მუშაობა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების საქმეში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოქმედი კანონმდებლობისა და აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილების მოთხოვნებს და დაავალა:

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უმაღლეს სასამართლოსთან ერთად — დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასამართლო ორგანოებში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად, ამასთან ძირითადი ყურადღება დაუთმონ პროფილაქტიკური ხასიათის მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს — ქმედითი ზომები მიიღოს ალიმენტის ურჩ გადამხდელთა დაძებნისათვის;

საქართველოს სსრ პროკურატურას — გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ზუსტად განხორციელებაზე, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვაში და პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების გატარებაში.

რესპუბლიკის სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ მიიღონ ზომები მათდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში ალიმენტის დაკავებასა და გადაგზავნასთან დაკავშირებული კანონების ზუსტად შესრულებაზე.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრისა და ამ დადგენილების გათვალისწინებით, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად; ამ საქმიანობაში მეტად ჩააბან დეპუტატები, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები და აქტივი; მოსთხოვონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს აღნიშნულ საკითხზე კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ზუსტად დაცვა; ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სასამართლო ორგანოებს გამსვლელი სესიებისა და სხვა პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზაციის საქმეში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1975 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ნ. ჭითანავას მოხსენება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახდენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ამ საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1974 წლის და 1975 წლის პირველ ნახევარში გამოვლენილია ნათესთა წანახედის 4.673 შემთხვევა, რომლის შედეგად მიყენებული ზარალი 117.913 მანეთს შეადგენს. განსაკუთრებით ხშირია ნათესთა წანახედის შემთხვევები აბაშის, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ჭიათურის, წყალტუბოს, თერჯოლის, დუშეთის, ლაგოდეხის და ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

არადამაკმაყოფილებელია ახსნა-განმარტებითი და პროფილაქტიკური მუშაობა ზემოაღნიშნული ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად ზარალის იძულებითი ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდევინების წესის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილების თაობაზე.

ყოველთვის არ ხდება კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება იმ პირთა მიმართ, რომლებიც აზიანებენ ნათესებსა და ნარგავებს. ასე, მაგალითად, წანახედის 4.673 შემთხვევიდან ჯარიმა გამოყენებულია მხოლოდ 1.403 პირის მიმართ.

არ სრულდება ხსენებული ბრძანებულების მე-4 მუხლის მოთხოვნა, იმის შესახებ, რომ აქტებს ნათესთა წანახედის შესახებ უნდა ადგენდეს კომისია, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. აქტები დგება ცალმხრივად, უშუალოდ დაინტერესებული კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის მიერ. ზოგჯერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება თანამდებობის პირთა წერილობითი ან ზეპირი განკარგულებითაც კი ხდება.

არის შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მოქმედი კანონმდებლობის გვერდის ავლით, თვითნებურად ღებულობენ დადგენილებებს ნათესთა წანახედების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აღმასკომები ხშირად არ იცავენ აღნიშნული კატეგორიის მასალების განხილვისათვის დაწესებულ ვადებს, ძალზე დაგვიანებით გამოაქვთ გადაწყვეტილებები და დროულად არ უგზავნიან აღსასრულებლად დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების მიერ არ არის დაწესებული კონტროლი ჯარიმების დანიშნულებისამებრ ჩარიცხვის საქმეზე, ამის შედეგად ზოგჯერ აღნიშნული თანხა, ნაცვლად იმისა რომ ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რჩებათ.

სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი ორგანო არ იღებს ქმედით ზომებს წანახედებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესასრულებლად.

1974-75 წლებში პროკურორების მიერ ზედამხედველობის წესით ხსენებული კანონის შესრულების მდგომარეობა შემოწმებულია მხოლოდ ხუთ რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები და მათი სოფლის მეურნეობის სამმართველოები ჯეროვან დახმარებას და კონტროლს არ უწევენ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად ჯარიმისა და ზარალის ანაზღაურების წესის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილების განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად ზარალის იძულებითი ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდევინების წესის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილების განუხრელი შესრულება;

პერიოდულად შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესების დაცვის მდგომარეობა. ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი;

სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მონაწილეობით უფრო მეტად გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნათესთა წანახედისათვის და ნარგავთა დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა თავის ადგილობრივ ორგანოებს მისცეს სათანადო მითითება, რათა მათ უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტში იმ თანხის ჩარიცხვა, რომელიც შემოსულია ნათესთა წანახედისა და ნარგავთა დაზიანებისათვის დაჯარიმების შედეგად.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ნათესთა წანახედისათვის ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდევინების წესების ზუსტად შესრულებაზე.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე და გამოსცა შესაბამისი ბრძანება.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე სხდომაზე მოისმინა მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ო. თენეიშვილის მოხსენება ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების საქმეში მახარაძის რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ მახარაძის რაიონული, საქალაქო, სასოფლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაბო საბჭოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებისათვის. სულ მშრომელთა დეპუტატების მე-15 მოწვევის ადგილობრივი საბჭოების მიერ შესასრულებლად დამტკიცებული იქნა 1064 განაწესი, რომელთა დიდი ნაწილი შეეხება სოფლების, დაბებისა და ქალაქის კეთილმოწყობას, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებასა და სხვ.

რაიონის ყველა ადგილობრივმა საბჭომ პირველ სესიაზე განიხილა საკითხი განაწესების შესრულების ღონისძიებათა შესახებ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. განაწესების შესრულების გეგმის შესაბამისად 1975 წელს 433 განაწესიდან შესრულებულია 344.

ვაკიჯვრის, დვაბზუს, მახარაძის და ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა თავიანთ სხდომებზე სპეციალურად განიხილეს მე-15 მოწვევის საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებისადმი ამომრჩეველთა მიერ წაყენებული განაწესების განხორციელების მდგომარეობის საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

განაწესების განხორციელების შედეგად შეკეთდა, მოსფალტდა და კეთილმოეწყო მრავალი ქუჩა, გაყვანილ იქნა სასმელი წყალი, აშენდა და გარემონტდა სკოლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების შენობები, მოეწყო სპორტული მოედნები და გაუმჯობესდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამასთან მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

რიგი სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს შემსრულებლებისათვის წინასწარ არ შეუთანხმებიათ ზოგიერთი განაწესის შესრულების შესაძლებლობისა და ვადების საკითხი, არ განუხილავთ განაწესების შესრულების მიმდინარეობა და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებანი ხელისშემშლელი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის შედეგადაც ბევრი განაწესი შეუსრულებელი რჩება.

საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან განაწესების შესრულებისათვის. სათანადო ყურადღება არ ექცევა განაწესების განხორციელების მდგომარეობის შესახებ ამომრჩევლებისათვის დასაბუთებული ინფორმაციების დროულად მიწოდებას დეპუტატების მიერ. არ ხდება განაწესების შესრულების დადებითი გამოცდილების გაზიარება.

საბჭოების არც ერთ მუდმივ კომისიას არ შეუსწავლია და არ განუხილავს ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების საკითხი.

რაიაღმასკომის განყოფილებები და სამმართველოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ განაწესების შესრულებას, ისინი არ სწავლობენ შესაბამისი დარგების მიხედვით მათი შესრულების მდგომარეობას. რაიაღმასკომი სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევს ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოება-დაწესებულებებს ამომრჩეველთა განაწესების განხილვისა და შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არსებითად გააუმჯობესოს ამომრჩევლების განაწესების განხილვა-შესრულების საქმე, ამ მიზნით:

უმოკლეს დროში აღმოფხვრას ნაკლოვანებანი ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების საქმეში და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი განაწესების დროულად და სრულყოფილად შესრულებისათვის;

მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინოს იმ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამომრჩეველთა განაწესებს;

განაწესების შესრულებაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები, საზოგადოებრიობა და აქტივი;

უზრუნველყოს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა ისეთი განაწესების შესრულებაში, როგორიცაა: დასახლებული ადგილების კეთილმოწყობა, გზების, ხიდების შეკეთება, სანიტარიული წესრიგის დაცვა და სხვ.;

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე, წარმოება-დაწესებულებათა და მოსახლეობის საერთო კრებებზე რეგულარულად განიხილოს ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების მიმდინარეობა, განაზოგადოს განაწესების შესრულების დადებითი გამოცდილება.

ადგილობრივ პრესასა და რადიოს დაევალა მეტი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საკითხებს; ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატებისა და ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართულებით.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მიიღონ სათანადო ზომები ამომრჩეველთა განაწესების დროულად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს რეკომენდაცია მიეცათ მეტი დახმარება აღმოუჩინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განაწესების შესრულების საქმეში.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 239 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | . . . . . . . . . | 20 |
| ადიგენის | რაიონიდან . . . . . . . | 6 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . . . . . | 12 |

№11
ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ბოლნისის | რაიონიდან . . . . . . | 13 |
| გორის | „ . . . . . . . . . | 14 |
| დმანისის | „ . . . . . . . . . | 17 |
| დუშეთის | „ . . . . . . . . . | 5 |
| ზესტაფონის | „ . . . . . . . . . | 5 |
| თერჯოლის | „ . . . . . . . . . | 4 |
| თელავის | „ . . . . . . . . . | 2 |
| თიანეთის | „ . . . . . . . . . | 6 |
| ლაგოდეხის | „ . . . . . . . . . | 11 |
| მაიაკოვსკის | „ . . . . . . . . . | 3 |
| მარნეულის | „ . . . . . . . . . | 23 |
| მახარაძის | „ . . . . . . . . . | 8 |
| მესტიის | „ . . . . . . . . . | 11 |
| მცხეთის | „ . . . . . . . . . | 4 |
| ორჯონიკიძის | „ . . . . . . . . . | 5 |
| ყვარლის | „ . . . . . . . . . | 9 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . . | 10 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . . . . . | 2 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . . . . . | 6 |
| წალკის | „ . . . . . . . . . | 30 |
| წალენჯიხის | „ . . . . . . . . . | 7 |
| ხობის | „ . . . . . . . . . | 6 |

*

*   *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დააჯილდოვა 666 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონიდან | . . . . . | 60 |
| ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონიდან | . . . . . | 100 |
| ქ. თბილისის საქარხნო რაიონიდან | . . . . . | 40 |
| ქ. ქუთაისიდან | . . . . . . . . . . | 175 |
| ქ. ტყიბულიდან | . . . . . . . . . . | 29 |
| ქ. ჭიათურიდან | . . . . . . . . . . | 3 |
| ახალქალაქის | რაიონიდან . . . . . . | 8 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . . . . | 84 |
| ქარელის | „ . . . . . . . | 9 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . | 88 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . | 6 |
| ხაშურის | „ . . . . . . . | 61 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დააჯილდოვა 240 კაცი, მათ შორის:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან | 14 |
| ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან | 28 |
| ქ. ქუთაისიდან | 23 |
| ქ. გორიდან | 46 |
| ადიგენის რაიონიდან | 1 |
| ამბროლაურის „ | 2 |
| ლენტეხის „ | 1 |
| მარნეულის „ | 4 |
| სამტრედიის „ | 15 |
| ქარელის „ | 10 |
| ყაზბეგის „ | 3 |
| ხაშურის „ | 93 |